საქმიანობის ბიულეტენი

დეკემბერი
2024



საქმიანობის ბიულეტენი

უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტივობები, გადაწყვეტილებები, მიღებული სამართლებრივი აქტები და სხვა ღონისძიებები აისახება საინფორმაციო ბიულეტენში, რომელიც საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიების პერიოდში ყოველთვიურად გამოქვეყნდება.

შინაარსი:

NO.4

გვერდი 4

პლენარული სხდომები

გვერდი 7

ბიუროს სხდომები

გვერდი 14

კომიტეტის სხდომები

გვერდი 18

ფრაქციის სხდომა

გვერდი 20

სხვა აქტივობები

გვერდი 25

საერთაშორისო ურთიერთობები

პლენარული სხდომა

აჭარის სუპრემატიული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

აჭარის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი დამტკიცებულია

11 დეკემბერი, 2024 წელი

უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე, აჭარის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი 13 ხმით დაამტკიცეს. რეგიონის მომავალი წლის ბიუჯეტი 880 100 000 ლარს შეადგენს.
კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ და ავტონომიური რესპუბლიკის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი, სხდომაზე, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა წარმოადგინა.

ჯაბა ფუტკარაძის განცხადებით, წინა საბიუჯეტო წელთან შედარებით, 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი 15%-ით გაიზარდა. შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 800 100 000 ლარს, მათ შორის, შემოსავლები 685 100 000 ლარია. საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 660 000 000 ლარით, საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები კი - 456 034 600 ლარია.

გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში, დაგეგმილია რეგიონისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და საინვესტიციო პროექტების განხორციელება, ჯანდაცვისა და სოციალური, განათლების, სოფლის მეურნეობის პროგრამების, ტურიზმის სფეროს დაფინანსების ზრდა.

მინისტრის განმარტებით, იზრდება როგორც მუნიციპალიტეტებზე გადასაცემი სპეციალური ტრანსფერის მოცულობა, ასევე, მხარჯავი დაწესებულებების დაფინანსება. სამინისტროების მიხედვით, ფინანსები ასე გადანაწილდა:
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - 149 619 600 ლარი
განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - 154 000 000 ლარი
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 65 500 000 ლარი
სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 36 820 600 ლარი
მოხსენების წარდგენის შემდეგ, მინისტრმა უპასუხა კანონმდებლების შეკითხვებს.
თანამომხსენებლის, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის - მარინე გვიანიძის განცხადებით, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა ბოლო წლების ტენდენციაა, რაც განპირობებულია ქვეყანაში არსებული სწორი, თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკით. მისივე თქმით, მომავალი წლის ბიუჯეტი რეგიონის მოსახლეობის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული. ხაზი გაუსვა ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით არსებულ სიახლეებს, განათლების, კულტურისა და სპორტის პროგრამების, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი პროექტების დაფინანსების ზრდას. ისაუბრა გენდერული ბიუჯეტირების საკითხებზე და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელობაზე.
სხდომაზე, 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის შესახებ დასკვნა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსმა აჭარაში - კახაბერ კირტავამ წარმოადგინა, რის შემდეგაც საკითხი კენჭისყრაზე დადგა.

აჭარის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცებას, სხდომაზე დამსწრე 13-ვე დეპუტატმა დაუჭირა მხარი.

უმაღლესმა საბჭომ აჭარის მთავრობა დაამტკიცა

31 დეკემბერი, 2024 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა, 12 ხმით, დამტკიცებულია. ახალ შემადგენლობას კენჭი უყარეს უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიის პლენარულ სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა. კანონმდებლებმა, აჭარის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე - თორნიკე რიჟვაძის კანდიდატურასა და მის მიერ დასახელებულ მინისტრობის კანდიდატებს ერთხმად დაუჭირეს მხარი. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს - მაია ხაჯიშვილი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს - ზაზა შავაძე, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს - ჯაბა ფუტკარაძე, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს - ნინო ნიჟარაძე უხელმძღვანელებს.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ ყაველაშვილის მიერ, აჭარის უმაღლეს საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარმოდგენილი ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობის კენჭისყრამდე, კანონმდებლებმა თორნიკე რიჟვაძეს მოუსმინეს.

"დღეს, 2024 წლის ბოლო სამუშაო დღეა და თამამად შეგვიძლია შევაჯამოთ განვლილი წელი. პირველ რიგში, მსურს ჩვენს ხალხსა და სრულიად საქართველოს მივულოცო დამდეგი დღესასწაულები და ვუსურვო ბედნიერი, წარმატებული, მშვიდობიანი 2025 წელი. ვაჯამებთ რა 2024 წელს, მინდა აღვნიშნო, რომ ჩავატარეთ ნამდვილად ისტორიული მნიშვნელობის, როგორც საყოველთაო, ასევე აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს ხალხს კიდევ ერთხელ გამოცხადებული მაღალი ნდობისთვის, ვინაიდან სწორედ ამ მანდატის საფუძველზე, შევძლებთ ჩვენი ქვეყანა წავიყვანოთ წინ, ჩვენი ხალხი და სამშობლო გავიყვანოთ სამშვიდობოს“, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ. მან ნდობისათვის მადლობა გადაუხადა საქართველოს ხელისუფლებას და აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული მიმართულებები და სამომავლო ხედვა ეფუძნება მშვიდობითა და ღირსებით ევროპისკენ სვლას, რომ სახელისუფლებო გუნდის ერთიანობით კიდევ უფრო განმტკიცდება მშვიდობა და კეთილდღეობა ჩვენს ქვეყანაში.

თორნიკე რიჟვაძემ, განვლილი, 2024 წლის შეჯამების შემდეგ, აჭარის მთავრობის სამოქმედო გეგმა წარმოადგინა. მისი განცხადებით, პრიორიტეტები და ყველა ძირითადი მიმართულება, საქართველოს მთავრობასთან კოორდინაციით, ეფუძნება ადამიანის უმთავრესი უფლებების, ღირებულებებისა და ფასეულობების დაცვას, რეგიონის გრძელვადიან ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებას და ყველა იმ გამოწვევის დაძლევას, რომელიც მოსახლეობის წინაშეა. ამასთან, რეგიონში კვლავ გაგრძელდება ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, რაც კიდევ უფრო მეტ ახალ სამუშაო ადგილს ნიშნავს. ყველა ეკონომიკური პარამეტრით, ყოველწლიურად იზრდება აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტი, რომელიც ამჟამად უპრეცედენტოდაა გაზრდილი და 800 მილიონ ლარს აჭარბებს. გაზრდილია მოსახლეობის საჭიროებებზე გათვლილი პროგრამებისა და პროექტების რაოდენობა. საგრძნობლადაა გაზრდილი მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაც და დარგობრივი სამინისტროები ძალისხმევას არ იშურებენ იმისათვის, რომ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს.

მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატმა ყურადღება გაამახვილა საინვესტიციო პროექტებზე, რომელთა განხორციელებაც არ შეფერხებულა, ისაუბრა ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, განათლების, კულტურის, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის მიმართულებით დაგეგმილ პროგრამებზე, მზარდ საბიუჯეტო პოლიტიკასა და რეგიონისთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზე. მომხსენებლის თქმით, ახალი მთავრობის უმთავრესი საზრუნავი უმუშევრობის მინიმუმამდე შემცირება და მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული პროექტების ეფექტურად განხორციელებაა.

კითხვა-პასუხის, გამოსვლებისა და კენჭისყრის შემდეგ, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, დავით გაბაიძემ მთავრობის ახალ შემადგენლობას წარმატებები უსურვა და საქართველოს მოსახლეობას დამდეგი დღესასწაულები მიულოცა.

რიგგარეშე სესიის დასასრულს, დარბაზში აჟღერდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.

ბიუროს სხდომა

აჭარის სუპრემალური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

ბიუროს სხდომა

6 დეკემბერი, 2024 წელი

უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა, დღის წესრიგით გათვალისწინებული ხუთი საკითხი განიხილეს.
ბიუროს წევრებს, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონპროექტისა და შესაბამისი პრიორიტეტების დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტის შესახებ ინფორმაცია, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ წარმოუდგინა. მარინე გვიანიძის განცხადებით, კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტი მთავრობიდან კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში შემოვიდა და მასში უმაღლესი საბჭოს შენიშვნებისა და წინადადებების ძირითადი ნაწილი გათვალისწინებულია.

ბიუროს გადაწყვეტილებით, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტისა და 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტი უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებს გადაეგზავნა.

ბიურომ მოისმინა და ცნობად მიიღო, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის - მარინე გვიანიძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, აჭარის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვის თაობაზე.

სხდომაზე, უმაღლესი საბჭოს კომიტეტების დებულებების დამტკიცების შესახებ საკითხი, საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ წარმოადგინა: აგრარულ და გარემოს დაცვის, ადამიანის უფლებათა დაცვის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტების დებულებები ბიუროს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს.

ბიურომ მხარი დაუჭირა უმაღლესი საბჭოს ორ კომიტეტში ფრაქცია „ქართული ოცნების“ კვოტით წარდგენილ წევრთა გადანაცვლების საკითხს - ფატი ხალვაში ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა, რამაზ ჯინჭარაძე კი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტში გააგრძელებენ საქმიანობას.

სხდომაზე, ასევე, განიხილეს და მიიღეს უმაღლესი საბჭოს 2024 წლის ბიუჯეტის დეტალურ განწერაში შესატანი ცვლილება, რომელიც კანონმდებლებს აპარატის უფროსმა - ზურაბ ჭურკვეიძემ გააცნო.

ბიუროს სხდომა

10 დეკემბერი, 2024 წელი

უმაღლესი საბჭო, აჭარის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტს უახლოეს პლენარულ სხდომაზე განიხილავს. შესაბამისი გადაწყვეტილება ბიუროს სხდომაზე მიიღეს, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა.

საკითხი, სხდომაზე, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ წარმოადგინა. მარინე გვიანიძის განცხადებით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტი მთავრობიდან კანონით გათვალისწინებული ვადების დაცვით შემოვიდა. წამყვანმა კომიტეტმა, განხილვის შემდგომ, მოამზადა დასკვნა, რომლის თანახმად, საკითხი მომზადებულია პლენარულ სხდომაზე განსახილველად.

ბიუროს სხდომა

16 დეკემბერი, 2024 წელი

უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებით, განხილვის პროცედურები იწყება საკანონმდებლო პაკეტზე, რომელიც უმაღლესი საბჭოს რეგლამენტსა და ,,საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პირობებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილებაში ცვლილებებს ითვალისწინებს. საკითხი ბიუროს წევრებს საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ წარმოუდგინა.

მისი განცხადებით, რეგლამენტში ცვლილებები, სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლამ, მაჟორიტარების ინსტიტუტის გაუქმებამ და ოლქის დელეგატის შემოღებამ განაპირობა. პროექტი, ასევე, ითვალისწინებს რეგლამენტის ცალკეული ნორმების დახვეწას და საქართველოს კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას.

რეგლამენტის ცვლილებებიდან გამომდინარეობს, ,,საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პირობებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საბჭოს დადგენილებაში შესატანი ცვლილებების პროექტი.

საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც უმაღლესი საბჭოს წევრებმა - დავით გაბაიძემ, ტიტე არაშიძემ, ფრიდონ ფუტკარაძემ და დავით ბაციკაძემ დააინიცირეს, გამარტივებული წესით განიხილება. განისაზღვრა წამყვანი კომიტეტი და განხილვის ვადები.

ბიუროს სხდომა

18 დეკემბერი, 2024 წელი

ბიუროს სხდომაზე, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა, დღის წესრიგით გათვალისწინებული ორი საკითხი განიხილეს. **საკანონმდებლო პაკეტი**, ბიუროს წევრებს, მისმა ერთ-ერთმა ავტორმა - ტიტე არაშიძემ წარმოუდგინა. მისი განცხადებით, საკითხი, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა განიხილა და პლენარული სხდომისთვის მომზადებულად მიიჩნია.

ბიუროს გადაწყვეტილებით, საკანონმდებლო პაკეტი უახლოეს პლენარულ სხდომაზე განიხილება.

დღესვე განისაზღვრა 2024 წლის 19 დეკემბრის მორიგი პლენარული სხდომის დღის წესრიგი. საკითხი, ბიუროს წევრებს, დავით გაბაიძემ გააცნო.

საშემოდგომო სესიის ბოლო პლენარულ სხდომაზე, კანონმდებლები, ერთ საკითხს განიხილავენ.

ბიუროს სხდომა

30 დეკემბერი, 2024 წელი

უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაზე, აჭარის მთავრობის დამტკიცების შესახებ იმსჯელეს. საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარის, დავით გაბაიძის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა, აჭარის უმაღლეს საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურა და მის მიერ დასახელებული მინისტრების კანდიდატურები წარუდგინა დასამტკიცებლად.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარედ წარდგენილია - თორნიკე რიჟვაძე, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრად - მაია ხაჯიშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრად - ზაზა შავაძე, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრად - ჯაბა ფუტკარაძე, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრად - ნინო ნიჟარაძე.

ბიუროს გადაწყვეტილებით, საკითხი განსახილველად კომიტეტებსა და ფრაქციას გადაეცა.

ბიუროს სხდომა

30 დეკემბერი, 2024 წელი



უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე, დავით გაბაიძე უძღვებოდა, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ საკითხი განიხილეს.

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ტიტე არაშიძის განცხადებით, საკომიტეტო მოსმენები დასრულებულია და საკითხი მზადაა პლენარული სხდომისთვის, რომელიც 31 დეკემბერს გაიმართება.

ბიურომ ასევე განიხილა და დაამტკიცა უმაღლესი საბჭოს ფრაქციის აპარატის თანამშრომელთა სახელფასო ფონდი. საკითხი სხდომაზე უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ წარმოადგინა.

კომიტეტის სხდომა

აჭარის სუპრემალური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომა

17 დეკემბერი, 2024 წელი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, უმაღლესი საბჭოს წევრების - დავით გაბაიძის, ტიტე არაშიძის, ფრიდონ ფუტკარაძისა და დავით ბაციკაძის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტი განიხილეს.

სხდომაზე, საკითხი, მისმა ერთ-ერთმა ავტორმა, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ტიტე არაშიძემ წარმოადგინა. მისი განცხადებით, რეგლამენტში ცვლილებები, 2020 წელს, აჭარის კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარეობს, რომელთა საფუძველზე, უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის მორიგი არჩევნები ჩატარდა სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემით და გაუქმდა მაჟორიტარების ინსტიტუტი.

ამასთან, უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის შესაბამისად, პარტიებს უფლება მიეცათ ჰყავდეთ ოლქის დელეგატები. რეგლამენტის პროექტით, დელეგატებს, შესაბამის ოლქებში, საკუთარი წარმომადგენლები ეყოლებათ, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტების მოსახლეობასა და დელეგატებს შორის ეფექტურ კომუნიკაციას.

პროექტი, ასევე, ითვალისწინებს რეგლამენტის ცალკეული ნორმების დახვეწას, ახლებურ რეგულირებას და საქართველოს კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას.

რეგლამენტის ახალ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანას ითვალისწინებს დადგენილების პროექტი - „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პირობებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საბჭოს დადგენილებაში შეტანის თაობაზე. კომიტეტმა, მხარი დაუჭირა საკანონმდებლო პაკეტის პლენარულ სხდომაზე გატანას.

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ორი ანგარიში მოისმინეს

20 დეკემბერი, 2024 წელი

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, დღის წესრიგით გათვალისწინებული ორი საკითხი განიხილეს. კომიტეტის წევრებმა, მოისმინეს ინფორმაცია, ა(ა)იპ „ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის“ 2024 წლის საქმიანობის შესახებ. შესაბამისი მოხსენება სხდომაზე, ინკუბატორის ხელმძღვანელმა - კახა შავაძემ წარმოადგინა.

მისი განცხადებით, „ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი“ წარმატებით აგრძელებს საქმიანობას ინკუბაციისა და საგრანტო პროექტების მიმართულებით. დღეის მდგომარეობით, ინკუბირებულია 65 კომპანია, რომელთაგან 3 კვლავ საქმიანობს ინკუბატორში. გრძელდება მყარი ნარჩენების მართვის სექტორის განვითარების ხელშეწყობა, გარემოსდაცვითი, კიბერუსაფრთხოების, მეწარმეობისა და ტექნოლოგიური წინსვლის პროგრამების განხორციელება.

მომხსენებელმა ისაუბრა სამომავლო გეგმებზე და უპასუხა კანონმდებელთა კითხვებს.

კომიტეტმა წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად მიიღო.

დღესვე, კომიტეტის სხდომაზე, მოისმინეს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაცია. 2024 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ მოხსენებით, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - სულხან მოწყობილი წარსდგა.

მისი განმარტებით, „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ პროგრამის ფარგლებში, გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში, გზის სხვადასხვა მონაკვეთზე. საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები.

მომხსენებელმა უპასუხა კანონმდებლების შეკითხვებს და მოისმინა მათი მოსაზრებები, რის შემდეგაც კომიტეტმა წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად მიიღო.

კომიტეტებში აჭარის მთავრობის თავმჯდომარისა და მინისტრობის კანდიდატებს მოუსმინეს

30 დეკემბერი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს დარგობრივ კომიტეტებში დასრულდა საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ ყაველაშვილის მიერ აჭარის უმაღლესი საბჭოსთვის წარმოდგენილი ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატისა და მის მიერ დასახელებული მთავრობის წევრობის კანდიდატების საკითხის განხილვა.

როგორც ცნობილია, აჭარის მთავრობის თავმჯდომარედ წარმოდგენილია - თორნიკე რიჟვაძე, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრად - მაია ხაჯიშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრად - ზაზა შავაძე, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრად - ჯაბა ფუტკარაძე, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრად - ნინო ნიჟარაძე.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატმა, სამოქმედო გეგმის წარდგენამდე, მოსახლეობას მადლობა გადაუხადა 26 ოქტომბრის არჩევნებზე „ქართული ოცნების“ გუნდის მხარდაჭერისათვის და აღნიშნა, რომ ხელისუფლების სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული მიმართულებები და სამომავლო ხედვა ეფუძნება მშვიდობითა და ღირსებით ევროპისკენ სვლას. ამასთან, თორნიკე რიჟვაძემ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს პოსტზე არჩევა მიულოცა საქართველოს მეექვსე პრეზიდენტს - მიხეილ ყაველაშვილს და იმედი გამოთქვა, რომ სახელისუფლებო გუნდის ერთიანობით კიდევ უფრო განმტკიცდება მშვიდობა და კეთილდღეობა ჩვენს ქვეყანაში.

თორნიკე რიჟვაძის განცხადებით, აჭარის მთავრობის სამოქმედო გეგმა, საქართველოს მთავრობასთან კოორდინაციით, ეფუძნება ადამიანის უმთავრესი უფლებების, ღირებულებების დაცვას, რეგიონის გრძელვადიან ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებას და ყველა იმ გამოწვევის დაძლევას, რომელიც მოსახლეობის წინაშე ჯერ კიდევ დგას. მომხსენებლის განცხადებით, რეგიონში საგრძნობლადაა გაზრდილი მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა და დარგობრივი სამინისტროები ძალისხმევას არ იშურებენ იმისათვის, რომ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს.

მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატმა ყურადღება გაამახვილა საინვესტიციო პროექტებზე, რომელთა განხორციელებაც არ შეფერხებულა, ისაუბრა ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, განათლების, კულტურის, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის მიმართულებით დაგეგმილ პროგრამებზე, მზარდ საბიუჯეტო პოლიტიკასა და რეგიონისთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზე.

მომხსენებლის თქმით, ახალი მთავრობის უმთავრესი საზრუნავი უმუშევრობის მინიმუმამდე შემცირება და მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული პროექტების ეფექტურად განხორციელებაა.

თორნიკე რიჟვაძის შემდეგ, კანონმდებლებმა მინისტრობის კანდიდატებს მოუსმინეს, გაეცნენ მათ სამოქმედო გეგმასა და სამომავლო ხედვებს.

კომიტეტებმა მხარი დაუჭირეს მთავრობის ახალი შემადგენლობის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვის საკითხს.

ფრაქციის სხდომა

აჭარის სუპრემალური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

ფრაქცია “ქართული ოცნების” სხდომა

30 დეკემბერი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია “ქართული ოცნების” სხდომაზე ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატის - თორნიკე რიჟვაძისა და მის მიერ დასახელებული მთავრობის წევრობის კანდიდატების დამტკიცების საკითხი განიხილეს.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატმა წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული მიმართულებები და ხედვა, რომელთა მიზანი რეგიონის გრძელვადიანი, მდგრადი ეკონომიკური განვითარებაა.

ფრაქციის ყველა წევრმა მხარი დაუჭირა მთავრობის ახალი შემადგენლობის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვის საკითხს.

სამუშაო შეხვედრები, სხვა აქტივობები

აჭარის სუპრემალური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

ქობულეთში 16 მილიონ დოლარამდე ღირებულების ციტრუსია ექსპორტირებული

25 დეკემბერი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები - ცოტნე ანანიძე და ფრიდონ ფუტკარაძე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან, დავით სონღულაშვილთან, აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან, თორნიკე რიჟვაძესთან და სოფლის მეურნეობის მინისტრთან, ზაზა შავაძესთან ერთად, ქობულეთის მუნიციპალიტეტში ციტრუსის მოსავლის აღება-დაბინავების პროცესს გაეცნენ. ხელისუფლების წარმომადგენლები მიმღებ-გადამამუშავებელ საწარმოში, ,,შპს იბერია ორბის ციტრუსში“ იმყოფებოდნენ. საწარმოში, 24 საათის განმავლობაში, 120 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი ბარდება, აქვე ხარისხდება და გადის პარაფინირების პროცესს, იფუთება ევროსტანდარტების შესაბამისად. აქ, წელს, 1000 ტონამდე სტანდარტული ციტრუსის მიღებას და ექსპორტირებას გეგმავენ. საწარმოში, სადაც 200-მდე ადამიანია დასაქმებული, მიიღება არასტანდარტული მანდარინიც.
„დავათვალიერეთ არასტანდარტული ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელი ქარხანა შპს ,,Georgian industrial Asset Management Group'', რომელმაც ნედლეულის მიღება 30 ნოემბერს დაიწყო. აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წელს, სახელმწიფო სუბსიდია სამრეწველო გადამუშავების (არასტანდარტული) მანდარინზე, გასულ წელთან შედარებით, 10 თეთრით გაიზარდა და 1 კგ-ზე 35 თეთრია. შესაბამისად, გადამუშავებისთვის განკუთვნილი მანდარინის ფასი 40 თეთრია, საიდანაც ფერმერებს 5 თეთრს საწარმო უხდის,” - განაცხადა ქობულეთის მუნიციალიტეტის დელეგატმა აჭარის უმაღლეს საბჭოში - ცოტნე ანანიძემ.

უმაღლესი საბჭოს წევრის, ფრიდონ ფუტკარაძის განცხადებით, ციტრუსის სეზონის შეუფერხებლად განხორციელებისა და ციტრუსის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, აჭარაში მოქმედებს ციტრუსის საკოორდინაციო შტაბი, რომლის მიზანი ციტრუსის ლოჯისტიკა-რეალიზაციის ხელშეწყობა, ასევე სუბსიდირების უზრუნველყოფაა. შტაბი 1 თებერვლამდე იმუშავებს.
აჭარაში საექსპორტო მანდარინს 20-ზე მეტი ციტრუსის მიმღებ-გადამხარისხებელი საწარმო, ხოლო არასტანდარტულ ნაყოფს შეუფერხებლად იბარებს ქობულეთში არსებული ორი გადამამუშავებელი ქარხანა. დღეის მდგომარეობით, 27.4 ათასი ტონა მანდარინია ექსპორტირებული, რომლის ღირებულება 15.9 მილიონი აშშ დოლარია, ხოლო გადამუშავდა 5 400 ტონა არასტანდარტული ნაყოფი, რისთვისაც 1.9 მილიონი ლარის სუბსიდია გაიცა.

საქართველოს მეექვსე პრეზიდენტის - მიხეილ ყაველაშვილის ინაუგურაცია გაიმართა

29 დეკემბერი, 2024 წელი

პარლამენტის სასახლეში, საქართველოს მეექვსე პრეზიდენტის - მიხეილ ყაველაშვილის ინაუგურაცია გაიმართა. ცერემონიას აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საარჩევნო კოლეგიის სხვა წევრებთან, ასევე მთავრობის, კონსტიტუციური ორგანოების, მართლმადიდებელი ეკლესიის, სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლებთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად დაესწრნენ.

მიხეილ ყაველაშვილმა პრეზიდენტის ფიცი, სპეციალურად ამ ცერემონიისთვის შექმნილ ბიბლიასა და საინაუგურაციო კონსტიტუციაზე დადო, რომლებიც პარლამენტის მუზეუმში შეინახება.

ფიცის დადების შემდეგ, მეექვსე პრეზიდენტმა, თავის სიტყვაში, მადლობა გადაუხადა საზოგადოებას, პარლამენტის, მთავრობის წარმომადგენლებს, კოლეგიის წევრებს გამოცხადებული ნდობისა და მხარდაჭერისთვის. მიხეილ ყაველაშვილის განცხადებით, იგი დაიცავს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო არენაზე. ამასთან, იქნება საქართველოს თითოეული მოქალაქის პრეზიდენტი და მათი ინტერესების გამტარებელი.

მეექვსე პრეზიდენტის ინაუგურაცია საქართველოს პარლამენტის, იმ, ისტორიულ დარბაზში გაიმართა, სადაც 33 წლის წინ, ფიცი დადო საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და ხელი მოეწერა დამოუკიდებლობის დეკლარაციას.

პრეზიდენტის არჩევნები, 2024 წლის 14 დეკემბერს, ისტორიაში პირველად, არაპირდაპირი წესით გაიმართა. 300 წევრიანმა საარჩევნო კოლეგიამ მიხეილ ყაველაშვილი 224 ხმით, 5 წლის ვადით აირჩია.

საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობაში შედიან - პარლამენტის წევრები, ადგილობრივი თვითმმართველობების, აჭარისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოების წარმომადგენლები; პრეზიდენტის არჩევისა და ინაუგურაციის პროცესში ოპოზიციურ პარტიებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

რამაზ ჯინჭარაძეს დევნილთა მხარდაჭერისთვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მადლობის სიგელი გადაეცა

30 დეკემბერი, 2024 წელი

„ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი ერთმანეთის სიყვარულმა და თანადგომამ გადაარჩინა. ჩემთვის უდიდესი პატივია ჯილდო, რომელიც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა ჯემალ გამახარიამ დევნილთა მხარდაჭერისთვის გადმომცა,”- აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რამაზ ჯინჭარაძემ, ბათუმში, თამარის დასახლებაში მცხოვრებ დევნილებთან გამართული შეხვედრისას .

დევნილთა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, მორიგი ჰუმანიტარული აქციით, ამჯერად, ბათუმში მცხოვრებ დევნილებს ესტუმრა და საახალწლო ნობათი აქ მცხოვრებ 350-მდე დევნილ ოჯახს გადასცა.

აქციის ფარგლებში, დევნილთა თანადგომისა და მხარდაჭერისათვის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საპატიო და მადლობის სიგელებით დაჯილდოვდნენ: აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - რამაზ ჯინჭარაძე, ქალაქ ბათუმის მერი - არჩილ ჩიქოვანი, საკრებულოს თავმჯდომარე - ირაკლი თავდგირიძე, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები.

შეხვედრა-აქციაზე, რომელსაც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ჯემალ გამახარია, უმაღლესი საბჭოს წევრები - თეიმურაზ მჟავია, ვახტანგ ყოლბაია, აჭარის ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, საუბარი იყო დევნილთა წინაშე არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე, დაგეგმილ სახელმწიფო პროგრამებზე.

კონკურსების გამარჯვებულები დააჯილდოვეს

30 დეკემბერი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსმა - ზურაბ ჭურკვეიძემ სამართლებრივი კვლევებისა და ახალგაზრდულ ინტელექტუალური კონკურსების მონაწილეებს -ანრი მელაძეს, არჩილ კახიძეს და ნინი ღოღობერიძეს მადლობის სიგელები გადასცა.

საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში ახალგაზრდობის ჩართულობის ხელშეწყობისა და კვლევითი საქმიანობის წახალისების მიზნით, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით გამოცხადებულ კონკურსის მონაწილეებს უმაღლესი საბჭოს სერტიფიკატები და ჯილდოები გადაეცათ.

კონკურსანტებმა მოიკვლიეს და საკანონმდებლო ორგანოს მიაწოდეს დღის წესრიგში არსებული პრობლემური საკითხები.

საერთაშორისო ურთიერთობები

აჭარის სუპრემატური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

დავით გაბაიძემ ფუად აზიზოვს უმასპინძლა

26 დეკემბერი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დავით გაბაიძემ, ქალაქ ბათუმში აზერბაიჯანის გენერალურ კონსულს, ფუად აზიზოვს უმასპინძლა.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე, მხარეებმა, ორ მეზობელ და მეგობარ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობებსა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე ისაუბრეს.

დავით გაბაიძემ გენერალურ კონსულს ახალ პოზიციაზე დანიშვნა მიულოცა და წარმატებები უსურვა. საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ ღრმა მწუხარება გამოთქვა, ამ დღეებში, ავიაკატასტროფის შედეგად დატრიალებული ტრაგედიის გამო და აზერბაიჯანელ ხალხს მიუსამძიმრა.

სტუმარმა დავით გაბაიძეს მადლობა გადაუხადა მასპინძლობისთვის და მზაობა გამოთქვა, თავისი წვლილი შეიტანოს ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების გაღრმავებაში.

ცნობისათვის: ფუად აზიზოვმა, აღნიშნულ პოზიციაზე, პარვიზ ისმაილზადე შეცვალა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

sca.ge

chaerte.sca.ge